

UDC 159.97

SCOPUS CODE 2802

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-2-273-278>

## სოციალიზაციის გამოწვევები, ფსიქიკური ჯანმრთელობა და ემოციური კეთილდღეობა დასწავლის სირთულის მქონე მოსწავლეებში

**თამარ წიგნაძე** სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77  
E-mail: [sophiatsignadze01@gmail.com](mailto:sophiatsignadze01@gmail.com)

### რეცენზენტები:

**ვ. გურგენიძე**, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: [vaja.gurgenidze@ciu.edu.ge](mailto:vaja.gurgenidze@ciu.edu.ge)

**ზ. ცოტნიაშვილი**, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: [tsotniashvilizaza12@gtu.ge](mailto:tsotniashvilizaza12@gtu.ge)

**ანოტაცია.** სწავლის უნარის მქონე ბავშვის ემოციური კეთილდღეობა შეიძლება შეიცვალოს, როდესაც მისთვის ემოციური მხარდაჭერა არ არის ხელმისაწვდომი. ამან შეიძლება გამოიწვიოს დეპრესია და/ან სუიციდური აზრები და ქცევა. ზოგადად, სუიციდის თემა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია აქტუალური: ჩრდილოეთ ამერიკაში მოზარდების თვითმკვლელობა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მთავარ პრობლემად იქცა, თვითმკვლელობა მოზარდების გარდაცვალების მესამე ძირითადი მიზეზია კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. შეერთებულ შტატებში 1960-1981 წლებში 15-დან 19 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში თვითმკვლე-

ლობის მაჩვენებელი 142%-ით გაიზარდა როგორც ბიჭებში, ისე გოგონებში. არსებობს გარკვეული ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებს ამ მაჩვენებელზე, მაგ., საყოფაცხოვრებო პირობები, ტრავმა, მათ შორის სწავლის უნარის დაქვეითებაც.

სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოზარდები არ არიან დარწმუნებულნი საკუთარ მომავალში, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ პირადი მიზნების შესახებ. დეპრესია შეიძლება გამოვლინდეს სწორედ მაშინ, როდესაც საკუთარი შესაძლებლობები აღქმულია შეზღუდულად, პირადი და საგანმანათლებლო მიზნების მიღწევის პროცესში. სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოზარდებს ხშირად აწუხებთ ამ მდგომარეობასთან დაკავშირებული

სტიგმა. ახალგაზრდები მიდრეკილი არიან ემოციური სირთულეების განვითარებისაკენ და შესაძლოა თვითდაზიანებასაც მიმართონ.

სწავლის უნარის დარღვევის მქონე ადამიანებში ხშირია ემოციური აშლილობები. მათ ხშირად უვითარდებათ თვითდაზიანების აშლილობა. თვითდაზიანება განიმარტება არა როგორც შემთხვევითი, არამედ განზრახ დაზიანება, რომელიც იწვევს მომენტურ სისხლდენას დაზიანებული ქსოვილიდან. აღმოჩენილია, რომ თვითდაზიანებას მოზარდები განიხილავენ, როგორც ფიზიკურ და ემოციურ გამოსავალს სასკოლო და საოჯახო ცხოვრების თანამდევ სტრესის შემსუბუქებისათვის. თვითდაზიანების სახეებია ასევე თავის დარტყმა, დასერვა, კბენა, ფხაჭნა და თმის წიწვნა.

**საკვანძო სიტყვები:** დასწავლის სირთულე; ემოციური კეთილდღეობა; სოციალიზაცია; ფსიქიკური ჯანმრთელობა.

## შესავალი

სწავლის უნარის დარღვევის მქონე პირებს აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის გაჩენის მაღალი რისკი. კვლევებმა აჩვენა, რომ მათი დეპრესია დაკავშირებულია სწავლის დარღვევასთან. შფოთვა და დეპრესია ამოიცნობა 8 წლის ასაკიდან. ეს გამოწვეულია ყოველდღიური ცხოვრებისა და საგანმანათლებლო გარემოს სტრესებით. შფოთვის გამოვლენის ალბათობა უფრო მაღალია სწავლის უნარის დაქვეითების მქონე ბიჭებსა და იმ მოზარდებში, რომლებიც ისედაც ავლენენ შფოთვის უფრო მაღალ დონეს.

ბავშვებისთვის, რომლებსაც აქვთ დასწავლის სირთულე, საკლასო გარემო შეიძლება ძალიან სტრესული აღმოჩნდეს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი ყოველდღე ახალი გამოწვევების წინაშე დგებიან. კლასს შეუძლია, მიაწოდოს ბავშვს ბევრი ისეთი სენსორული სტიმული, რომელიც ყურადღებას გაუფანტავს და აშკარად წარმოაჩენს მენტალური ჯანმრთელობის პრობლემას.

ბავშვები დიდ დროს ატარებენ სასწავლო დაწესებულებებში. სიღარიბე და ოჯახის სტრუქტურა დაკავშირებულია მენტალურ ჯანმრთელობასთან და იწვევს გარეგან და შინაგან პრობლემებს. სიღარიბე ზრდის შანსს, რომ მშობელი გახდეს დეპრესიული, გამოიყენოს მკაცრი დისციპლინა და უგულვებელყოს ბავშვის ემოციური საჭიროებები. ეს ბავშვს საფუძველს აძლევს, რომ თვითონაც მოიქცეს უჩვეულოდ, იგრძნოს შფოთვა და დეპრესია.

## ძირითადი ნაწილი

სწავლის უნარის დარღვევის მქონე ადამიანები დეპრესიის განვითარების უფრო მაღალ რისკ-ჯგუფს განეკუთვნებიან, ვიდრე საზოგადოების სხვა ქვეჯგუფები. დეპრესიამ შესაძლოა, ხელი შეუშალოს ინდივიდს პიროვნულ შესაძლებლობებსა და ყოველდღიურ ფუნქციონირებაში, ასევე ყურადღების გარკვეული მიმართულებით მობილიზებაში.

პოლ გრეიმ (2010) აღმოაჩინა, რომ "დეპრესიას აქვს მრავალი მახასიათებელი, როგორცაა დაბალი გუნება-განწყობა, რომელიც არ უმჯობესდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მარტობის განცდა, სევდა, უნერგიობა, სოციალური გამოფიტვა. დეპრესია შეიძლება გართულდეს მათთან, ვისაც აქვს სწავლის უნარის დაქვეითება. ეს მოიცავს კომუ-

ნიკაციის დარღვევას, ქცევის ცვლილებას და სხვების არასწორ გაგებას. სწავლის უნარის დარღვევის მქონე ადამიანებს უფრო ხშირად ახასიათებთ ე.წ. „განსაკუთრებულად რთული გლოვა“ იმის გამო, რომ მათი მოთხოვნილებები უგულებელყოფილია და მათი ადგილი ოჯახში ან საზოგადოებაში შეიძლება ვისიმე ყურადღების ცენტრში მოექცეს.

დეპრესიის ეპიზოდები შეიძლება განმეორდეს და გახდეს თვითმკვლელობის მთავარი რისკ-ფაქტორი. სწავლის უნარის მქონე პირები ებრძვიან თანამიმდევრულ საგანმანათლებლო წარუმატებლობას, რის შედეგადაც წარმოიქმნება დეპრესია და განიხილება თვითმკვლელობა. დაღუპულთა გლობალური რიცხვი იმ ადამიანთა შორის, ვინც თვითმკვლელობა სცადა, ერთი მილიონი ადამიანია წელიწადში.

სკოლა არის სოციალური ადგილი, სადაც სწავლის უნარის დარღვევის მქონე ადამიანი მუდმივად განიცდის შფოთვის, დეპრესიას და შეიძლება იგრძნოს შიში საგანმანათლებლო გარემოში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფსიქიკური ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები. იმისათვის, რომ გაუმკლავდეს დეპრესიასა და სოციალურ შფოთვის, სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვი ქმნის ბარიერს და სწავლობს თავის დაღწევას უკეთეს რეალობასა და ცხოვრებაზე ოცნებით ან ფანტაზიით.

ტერმინი Day Dreaming (DD) ნიშნავს „დღის სიზმრებს“. სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბევრი ბავშვი და მოზარდი ირჩევს „დღის სიზმრებს“, რათა გაუმკლავდეს სკოლისა და სოციალური ურთიერთობის სტრესებს. „დღის სიზმრები“ ასევე ცნობილია, როგორც „გათიშვა-გაფანტვა“, რაც ჩვეულებრივი პრაქტიკაა სწავლის უნარის დარღვევის

მქონე მოსწავლეებში. მათთვის ეს არის გაქცევის საშუალება არსებული - სირთულისა და მოწყენილობის შემცველი გარემოდან. მაგალითად, ბავშვმა თვალებით შეიძლება დაიწყოს კითხვა, მაგრამ გონება სხვა მიმართულებით გაეფანტოს, წარმოდგენა არ ჰქონდეს და არ ესმოდეს, რას კითხულობს. კიდევ ერთი მაგალითი: მასწავლებელი აკეთებს პრეზენტაციას ან ხსნის გაკვეთილს, მოსწავლის აზრები კი იფანტება. ბავშვი, რომელიც ორი წლით ან მეტით ჩამორჩება კლასს, როგორც წესი, ფანტაზიობს, რათა თავი დააღწიოს მსუბუქ და მძიმე სირთულეებს. ეს საშუალებას აძლევს, გაექცეს არსებულ დეპრესიულ მდგომარეობას და ფოკუსირება მოახდინოს ისეთ რამეზე, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს მიზნის მიღწევაში. ოცნება თავდაცვის მექანიზმია, მაგრამ როდესაც ბავშვი რეალობაში ბრუნდება, მისი სწავლის სირთულე და დეპრესია კვლავ იჩენს თავს.

სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვები შეიძლება ვერ მიხვდნენ სოციალურ მინიშნებებს იმის გამო, რომ რეალობას გაურბიან დღის სიზმრების მეშვეობით. ამის გამო, სწავლის უნარის დარღვევის მქონე პირები უფრო დიდი რისკის ქვეშ არიან ჩადენილი დანაშაულის, მარცვის, ფიზიკური და სექსუალური ძალადობის თვალსაზრისით, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა. სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვები ხუთჯერ უფრო მეტად არიან მიდრეკილნი სექსუალური ძალადობის, ყურადღების დეფიციტის, კომუნიკაციის პრობლემების და სხვადასხვა დამოკიდებულებებისადმი.

ზემოაღწერილი სიტუაციებიდან რაციონალური გამოსავალია პოზიტიური კომუნიკაცია. ეს არის უნარი, რომელიც ხელს უწყობს ადამიანების სოცია-

ლურ კეთილდღეობას. კვლევებით დადგენილია, რამდენად შეუძლია პოზიტიურ კომუნიკაციას გადაფაროს ადამიანის შესახებ უარყოფითი შეხედულება, შესთავაზოს მას მხარდაჭერა და მოაბრუნოს დამღუპველი ბილიკიდან. კვების პროცესში წარმართული კომუნიკაცია (საოჯახო სადილი/ვახშამი) შეიძლება გახდეს კარგი შესაძლებლობა ნებისმიერი ემოციური დარდისა და საჭიროების აღიარებისათვის, რომელიც ბავშვმა განიცადა დღის განმავლობაში. კვების პროცესში კომუნიკაცია სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვს ეხმარება გამოვიდეს „შინაგანი გარსიდან“ და დაუკავშირდეს ოჯახს. თავის მხრივ, ეს მშობლებს შესაძლებლობას აძლევს დაუსვან კითხვები და ჩაერთონ ჯანსაღ საუბარში. კითხვების დასმა ბავშვს არწმუნებს, რომ ის მნიშვნელოვანია და ეს ანიჭებს მას აღიარებას, თავდაჯერებულობასა და ნდობას.

სწავლის უნარის დაქვეითება შეიძლება გახდეს დამთრგუნველი ემოციური ტვირთი, როდესაც მას თან არ ახლავს მხარდამჭერი კომუნიკაცია, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოზარდს უხდება გამკლავება სასკოლო სიტუაციების ზეწოლასთან. შფოთვა, როგორც წესი, გამოიხატება თავისა და კუჭის ტკივილით, გულის აჩქარებით, როდესაც მათ წინაშე დგას აკადემიური მოთხოვნები, რომელთა შესრულებაც შეუძლებელია. გულწრფელი კომუნიკაცია არის ის დამცავი ელემენტი, რომელიც შეამცირებს ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების გამოვლინებას. მშობლებმა უნდა გამოიყენონ შვილთან კომუნიკაციის ყველა შესაძლებლობა და გულწრფელები იყვნენ იმედგაცრუებისა და უარყოფის გრძნობების გამოხატვისას. სწორ

კომუნიკაციას შეუძლია განავითაროს უნარები, გააკონტროლოს ბავშვის სოციალური გარემო და შესთავაზოს ემოციური მხარდაჭერა.

პოზიტიურმა კომუნიკაციამ შეიძლება უფრო ადვილად დაშალოს ემოციური, სოციალური და ფსიქიკური ბარიერები. ის სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეს უადვილებს, გაუმკლავდეს და დაძლიოს სწავლის უუნარობა. კვლევამ აჩვენა, რომ პოზიტიური კომუნიკაცია ზრდის სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეების თავდაჯერებულობას და ამაღლებს მათ თვითშეფასებას. პოზიტიური და წამახალისებელი მხარდაჭერის მიღება მასწავლებლებისა და ოჯახის წევრებისგან სწავლის უნარის მქონე მოსწავლეებს ანიჭებს გამბედაობას, რომ სცადონ რაღაც ახალი და არ შეშინდნენ წარუმატებლობის ან რაიმეს ხელახალი, თუნდაც წარუმატებელი მცდელობის შემთხვევაში.

### დასკვნა

ამრიგად, სწავლის უნარის დაქვეითება არის ნევროლოგიური აშლილობა, რომელიც გავლენას ახდენს სწავლასა და უნარზე წარმატებით დაამუშაოს, მიიღოს, შეინახოს, გაიხსენოს და გადასცეს სხვებს ინფორმაცია. ეს არის შეუსაბამო პოტენციალსა და მიღწევას შორის. სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოზარდებს აქვთ რთული და გამომწვევი ცხოვრებისეული გზა. საგანმანათლებლო გარემოში ისინი ეძებენ სოციალურ მიმღებლობას თანატოლებს შორის, რომლებიც არ სცნობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. სანაცვლოდ იღებენ დაცინვას და დისკრიმინაციას, რაც მათ თვითშეფასებას ამცირებს. აკადემიური შეფერხებები თანატო-

ლების მხრიდან ზრდის მათი ჩაგვრის ალბათობას, უვითარდებათ სოციალური კომპლექსი - შფოთვა. „დღის სიზმრები“ მათთვის ხდება დეპრესიისა და სუიციდური აზრებისგან თავის დაღწევის გზა, ასევე გამოსავალი ბრაზისგან, რომ არ ჰყავთ ბევრი მეგობარი და მუდმივი ბრძოლა უწყევთ აკადემიური ცოდნის ასათვისებლად და მიღწევის დონის შესა-  
ნარჩუნებლად. თვითშეფასება ქვეითდება ადრეულ ასაკშივე და ვლინდება წარუმატებლობაში, ხდება გენერალიზებული და მუდმივი. მასწავლებლებმა და მხარდამჭერმა ზრდასრულებმა უნდა აღმოუჩინონ, მისცეს შესაბამისი დახმარება, რათა სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეები გა-  
უმკლავდნენ გარიყულობით გამოწვეულ ყოველ-  
დღიურ იმედგაცრუებას, რამაც, თავის მხრივ, შეიძ-

ლება გამოიწვიოს დეპრესია და თვითმკვლელობა. ღია ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია ბავშვს შეიძლება დაეხმაროს ემოციური და ფსიქი-  
კური ჯანმრთელობის შენარჩუნებაში და მეტიც, განსაზღვროს, იქნება თუ არა ის მენტალურად ჯან-  
მრთელი. მშობლებმა და მასწავლებლებმა არ უნდა გამოხატონ იმედგაცრუება, არ მოახდინონ ბავშვის შესაძლებლობების არასწორი ინტერპრეტაცია და არ მიაწერონ სიზარმაცეს. სწავლის უნარის დაქვე-  
ითების მქონე ბავშვები კონსულტაციისა თუ ჯგუ-  
ფური თერაპიის დროს უნდა ეკონტაქტონ ანალო-  
გიური პრობლემის მქონე ბავშვებს, რაც დაეხმა-  
რებათ, ერთობლივად გადალახონ ცხოვრებისეული დაბრკოლებები და სამომავლოდ მსგავსი პრობ-  
ლემის მქონე თანატოლებსაც გაუწიონ დახმარება.

### ლიტერატურა

1. Pandy, R I. (2012). *Learning Disabilities and Self-Esteem*. USA: Governors State University Park.;
2. McShawn, M. D., & Williams, F. P. (2003). *Encyclopedia of juvenile justice*. In B. McGowran & S. Tarber (Eds.). Thousand Oaks, CA: Sage Publication.;
3. Zastron, C. H., & Ashman, K.K. (2010). People with developmental disabilities: a population at risk. In S. Dobron (Ed.). *Understanding human behavior and the social environment*.
4. Zhao, J., & Zhang, B. (2008). Effects of concealable stigma for learning disabilities. *Social behavior and personality: An International Journal*, 36(9), 1179-1188.

UDC 159.97

SCOPUS CODE 2802

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-2-273-278>

## Challenges of Socialization, Mental Health and Emotional Well-being in Children with Learning Disability

**Tamar Tsignadze**

Department of Social Sciences, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.

E-mail: [sophiatsignadze01@gmail.com](mailto:sophiatsignadze01@gmail.com)

### Reviewers:

**V. Gurgenidze**, Professor, Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences, GTU

E-mail: [vaja.gurgenidze@ciu.edu.ge](mailto:vaja.gurgenidze@ciu.edu.ge)

**Z. Tsotniashvili**, Professor, Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences, GTU

E-mail: [tsotniashvilizaza12@gtu.ge](mailto:tsotniashvilizaza12@gtu.ge)

**Abstract.** The emotional well-being of a child with a learning disability can alter when there is no emotional support available. This can lead one to become depressed and/or consider suicide. In North America, adolescent suicide has become a major public health problem. Currently, suicide is the third primary cause of adolescent death in both Canada and the United States. Suicide rates in the United States increased 142% between 1960 and 1981 for both boys and girls in the 15 to 19-year old age group. There are a number of factors that put a person's life in jeopardy, such as life events, trauma, and learning disabilities.

Adolescents with learning disabilities are uncertain about their future and their personal goals. Depression may manifest when opportunities seem limited while trying to reach their personal and educational goals. They are often haunted by the stigma of having a learning disability. Youths are inclined to develop emotional difficulties and are likely to inflict self-harm.

Emotional disorders are common among people with learning disabilities than those who are non-learning disabled. Individuals with learning disabilities are more likely to develop self-harming disorders as a result to being labeled with a learning disability. The definition of self-harm is defined as a non-accidental injury, which produces bleeding of momentary or permanent tissue damage over a repeated amount of time. Self-harming is found to be a physical and emotional outlet to relieve the stressors of school and home life. Another part of self-harm is head banging, cutting, biting, scratching, and hair pulling.

**Keywords:** emotional well-being; learning disability; mental health; socialization.

---

*განხილვის თარიღი 29.04.2024*

*შემოსვლის თარიღი 30.04.2024*

*ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.06.2024*